# იმერეთი

№ 136 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 136

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

შაბათი 23 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

გულდამწვარნი: ბაბუსია გიორგის ასული აბაშიძისა, ნინა, ოქროპირ და პავლე სიმონის ძენი, ნინა ვასილის ასული და ბაბო დავითის ასული აბაშიძისანი ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა მათი უსაყვარლესი რძალი

**დარიკო** (ქვრივი ლენტორ აბაშიძისა) **სიმონ კიკნაძის ასული აბაშიძისა**, რომლის ტირილი და დასაფლავება დანიშნულია კვირას 24 ამა აგვისტოს სოფ. ჰალის, შორაპნის მაზრის, ეკლესიის გალავანში.

---

მარიამ სოფრომის ასული, ვიკტორ ბეჟანისძე მეღიქოვები და ქალიშვილები მათი: თამარა და დარეჯანა აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას, პირველი ქალიშვილისას, მეორე გერისა და მესამენი დისა

**სოფიო იურკევიჩისას.**

დაკრძალვა დანიშნულია 24 ავგისტოს, ნაშუადღების 4-ს საათზე, დაბა ჭიათურაში.

---

# უდიდესი
## სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი
### ქ. ქუთაისში
## კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს შარშანდელივით ეთმობათ წიგნები მეტად სალავათიან პირობებში.

წიგნის მაღაზიას გახსნილი აქვს საკუთარი საკაზმავი სახელოსნო. ამის გამო მას ეძლევა საშუალება, რომ ზოგიერთი წიგნის ყდა დაუთმოს ჩვეულებრივ ფასზე უფრო ნაკლებ.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა**, რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება **ძლიერ იაფათ.** აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

**კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები:**

1. ყუბანეიშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . . . ფასი 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია . „ 2 აბაზი.
3. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა . „ 1 „
4. არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთ. სააზნ. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ სურათებით . . . „ 7 შაური.
5. „ცხოვრება და მეცნიერება“. (ახალგაზდა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ნაწარმ. კრებული) . „ 1 მან.
6. უზნაძე. მაჰმადი . . . . . . . „ 3 შაური.
7. მისივე. ისლამი. . . , . . . . „ 3 „
8. მოძრავი ანბანი . . . . . . . „ 2 „
9. იგივე კარდონზე . . . . . . „ 6 „

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე დათმობით, როგორც საკუთარს გამოცემას:

1. „გუთანი“. ქართული სახელმძღვანელო . . ფ. 17 შაურ.
2. ხუნდაძე. გრამატიკა . . . . . „ 3 აბაზი.
3. მისივე მოკლე გრამატიკა . . . . „ 1 „
4. ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა . . „ 10 შ.
5. მღ. ა. გერსამია. ლოცვანი . . . . „ 2 „
6. ალ. ჭიჭინაძე. გეოგრაფია . . . . „ 3 აბ.
7. დათეშიძე. ქართული წერის დედანი. . . „ 5 შ.
8. ფ. ქორიძის მიერ გადაღებული საგალობლების ნოტები სხვადასხვა ფასისა.
9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი. თითო ნაწილი . . . . „ 14 შ.
10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. „ 10 „
11. შექსპირი. გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ . . . . . . . „ 1 აბ.

იბეჭდება ახალი გამოცემები: შიო მღვიმელის ლექსთა კრებული, გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“, ალ. ჯ—ძის ეროვნული შემოქმედება, ქართული ანბანი, შედგ. „გუთნის“ ავტორების მიერ. ახალი რუსული ენის სახელმძღვანელო. გ. წერეთლის მამიდა ასმათი და რუხი მგელი, სამაგალითო სამზარეულო და სხვა.

---

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით

# აცნობებს ქალაქის ამომრჩევლებს, რომ

ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა

# არჩევნები

მომავალი ოთხი წლისთვის (1914-1918 წ.წ.) დანიშნულია მდგომარე 1914 წლის 14 სეკტემბრისთვის.

**არჩევნები მოხდება ქალაქის თეატრში.**

---

**ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება**

თ. მთავრიშვილის და ა. ჰ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი საკუთარი გამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ და კარიჭაშვილისა . . . ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი“ . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

---

# ძრიელ იაფათ

იყიდება ერთი ცხენის შესაბამი ეტლი

**ყოველივე მოწყობილობით, გარდა ცხენისა.**

პირობების გაცნობა შეიძლება წერეთლის სახლში. ოლდენბურგის ქუჩა, № 14.

---

ექიმის იკ. ბოკერიას

# საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

# შექსპირი ქართულად!

## გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

# შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოკეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველ** ღ შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

---

**სამოსწავლო მთავრობის ნებართვით**

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

**მე-3 ხარისხის მოსამზადებელ**

**სასწავლებელს**

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდე.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოშტარავასი.

---

**დამეკარგა ატტესტ... 471,**

ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუციძეს. მნახველს მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში.

---

Пріѣзжій

интелигентный молодой

**ЧЕЛОВѢКЪ,**

окончившій консерваторію, преподаетъ уроки на скрипкѣ.

Балахванская ул. д. Воронова.

---

**ექიმი** გრიგოლ ალშიბაია უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

---

**ექიმი** მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

---

**ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელისა** შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** ვ. ი. კაკიტელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

**ექიმი** გ. დ. **ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბავშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

---

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

**ს. ა. ცეიტლინი.**

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩ. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

---

**ექიმი** ი. ა. **ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

# სრულიად ევროპის ომი

## დეპეშები

შეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

**პარიზი**. 21 ავგისტო. გამოცხადდა ოფიციალური ცნობა მთავრობის ბორდოში დროებით გადაყვანის შესახებ. უწყებაში ნათქვამია, რომ პარიზის სამხედრო მთავრობამ საჭიროთ და დროის შესაფერად დაინახა სახელმწიფო დაწესებულებათა სხვა ქალაქში გადატანა. ახლოვდება ის მომენტი, როდესაც პარიზი უნდა გახდეს იმ ღერძათ რომლის გარშემოც იტრიალებენ მომქმედი ჯარები, გარდა იმისა, რომ გერმანელებს შეუძლიანთ მოულოდნელათ იერიში მიიტანონ პარიზის გამაგრებულ თხრილებზე. სასარგებლო იქნება, რომ ამ დროს მთავრობა სატახტო ქალაქში არ იყოს. სამხედრო მთავრობას ეჭვი არა აქვს, რომ სულ ახლო მომავალში პარიზი შეიქმნება იმ ცენტრად, რომელიც მიიზიდავს მომქმედ ჯარს, ამის გამო საჭირო არის, რომ პარიზს განსაკუთრებით სამხედრო ცენტრის ხასიათი მიეცეს.

**პეტროგრადი**. 21 ავგისტო. უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბიდან. 19 ავგისტოს მტრის ჯარები ლიუბლინისა და ხოლმს შუა ჩვენი ცენტრის გარღვევას შეეცადნენ, მაგრამ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. მტრის ჯარიდან გადარჩენილი ნაწილი გაჩქარებით სამხრეთისაკენ იწევს, ჩვენი ჯარი ფეხდა-ფეხ მისდევს. ბრძოლის ველზე მტერმა დაგვიტოვა დროშა, რვა ტყვიის მფრქვეველი და ათასზე მეტი ტყვე. 20 აგვის. მთელ ფრონტზედ ახალის ძალით ბრძოლა გაჩაღდა. ტყვეები ამბობენ, რომ ავსტრიის მეორე ჯარს, რომელიც ლვოვის აღმოსავლეთითა სდგას შიშით თავზარი აქვთ დაცემული. ლვოვის უმახლობელეს მიდამოებში 20 ავგისტოს ჩვენ კიდევ წავართვით მტრებს ოცი ზარბაზანი. ჩვენი ჯარი ამ ფრონტზე შეუჩერებლივ წინ მიიწევს.

**პარიზი**. 20 ავგისტო. აფიციალურათ იუწყებიან, რომ ჩვენ მარჯვენა ფრთაზედ, გერმანიის ცხენოსანთა კორპუსი, რომელიც კომპენის ტყისკენ მიდიოდა 19 ავგისტოს ინგლისელებს შეებრძოლა. ინგლისელებმა წაართვეს მას ათი ზარბაზანი. გერმანიის ცხენოსანთა მეორე კორპუსმა წინ წაიწია სოასსონ-ანიზილეშატის ბრძოლის ველის წრემდე. რეტელისა და მაასის რაიონებში მტერს აქტიური მოქმედება არ გამოუჩენია. ლოტარინგიაში მდინარე სანონის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ წინ მივიწევდით. ჩრდილოეთით მდგომარეობა არ შეცვლილა, როგორცა სჩანს ბელფორის წინ გერმანელებმა მხოლოდ საფარი ჯარი დასტოვეს. ჩრდილოეთით ლილლეარრადუე-ბეტონე და ლიეჟეს მიდამოებში მტერი არა სჩანს. ბელგიიდან იუწყებიან, რომ გერმანიის ჯარის მრავალ კორპუსთა ნაწილებმა ისევ ბელგიაზე გამოიარეს და გერმანიაში ბრუნდებიანო.

**კავიზმანი**. 20 ავგისტო. ოსმალეთი ცდილობს მოაწყოს იმ ქვეშევრდომთაგან, რომელნიც ჯარში არ ყოფილან, აგრეწოდებული ტაბორები. ჯარისკაცები, რომელნიც დათხოვნილი იყვნენ პურის მოსამკალად. კვლავ გაიწვიეს 16 ავგისტოს.

**კოპენჰაგენი**. 21 ავგისტო. რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ, რომ ურიმსბიში დანიის გემი „კამმა" წააწყდა მინას და, მგზავრები და კაპიტანი იხსნა ინგლისის გემმა.

**რომი**. 2 ავგისტო. დილას ხელ-ახლა გამოჩნდა კომლი სიქსტის კაპელლიდან, რაც იმის მომასწავებელია, რომ ჯერ არჩევანი არ მომხდარა. დიდი ხალხი იცდის პეტრეს მოედანზე.

**კოპენჰაგენი**. 21 ავგისტო. ტორნიდან იუწყებიან, რომ ტყვიის მფრქვეველებით შეიარაღებული ის გემი, რომელიც ვისლაზე მიმოვიდოდა და რომელზედაც 70 ჯარის კაცი იყო შევიდა რუსეთის სამზღვრებში. ნეტოვაში რომ მივიდა რაზმი ნაპირზე გადმოვიდა დასაზვერავათ, მაგრამ მათ თავს დაესხენ ყაზახები და ქვეითა ჯარის კაცნი. გემზე გადარჩა მხოლოთ ათი კაცი.

**ანტვერპენი**. 21 ავგისტო. გუშინ დილით ჩრდილო ბელგიაში ცეპელინი დაფრინავდა და ცდილობდა ანტვერპენის თავზე ეფრინა, მაგრამ ზარბაზნები დაუშინეს და ნება არ მისცეს ციხე-სიმაგრეებს მიახლოვებოდა. ცეპელინმა ჩამოისროლა ექვსი ყუმბარა, შემდეგ ყუმბარები ჩამოჰყარა სადგურის მახლობლათ და როსინიოლის ბაღში, ორიას გოსპიტლის გვერდით დაზიანდა ის შენობები, რომელზედაც გაშლილი იყო წითელი ჯვრის ბაირაღი. დაიჭრა 12 კაცი. ყუმბარებს თხელი გარსი (კანი) ჰქონდათ. ასეთ ყუმბარებს ხმარობდა საფრანგეთში ცნობილ ყაჩაღისა ბონნოს ბრბო.

**პეტროგრადი**. 21 ავგისტო. საფრანგეთის ფლოტმა ყუმბარები დაუშინა რეიდ კატაროს, დაინგრა რამდენიმე შენობა.

**სმოლენსკი**. 20 ავგისტო. აქ მოიყვანეს რვაასზე მეტი ტყვე-ავსტრიელი გერმანიაში დატყვევებული, მათ შორის ბევრი აფიცერია.

**ნიკოლაევსკ- ზღვის პირისა**. 20 ავგისტო. სამხედრო ჯილდოთ ჩაითვალენ გემები „რიკმერსი" და „დორმუნდი", რომელთაც კონფისკაცია უყვეს.

**ნიში**. 21 ავგისტო. გუშინწინ ტყვიისმფრქვეველებით ძირს ჩამოაგდეს ავსტრიის ჰაეროპლანი, რომელიც ვიშნიცისკენ მიფრინავდა. პილოტი დაჭრილია. მას უპოვეს გადახატული გეგმები და შენიშვნები სერბიის ჯარის მოძრაობის შესახებ. გამოირკვა, რომ ავსტრიელი ოფიცრები რევოლვერებით ემუქრებიან ჯარისკაცებს და ისე მიერეკებიან ბრძოლის ველზე—ნამეტნავათ ჩეხელებს. გრეცკასმედერევოს მახლობლათ მტერმა ზარბაზნების სუსტი სროლა ასტეხა, დანარჩენ ფრონტებზე კი თვალსაჩინო არა მომხდარა რა.

**კოპენჰაგენი**. 20 ავგისტო. ბერლინიდან იუწყებიან, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა ხელი მოაწერა ბრძანებას,—რომლითაც სასჯელის პატიება ეძლევა ყველა იმას, ვინც სამხედრო სამსახურს საზღვარგარეთ გაქცევით თავი დააღწია, თუ ისინი სამი თვის განმავლობაში სამსახურს დაუბრუნდებიან.

**კოპენჰაგენი**. 21 ავგისტო. მამა მჩელკუნოვს აუარებელი წერილი მოსდის რუსეთის ყველა კუთხიდან, რომლითაც დიდ მადლობას უხდიან კოპენჰაგენლებს იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს გერმანიიდან დაბრუნებულ რუსებისადმი, როცა იგინი დანიისა და შვეციის გზით რუსეთს ბრუნდებოდენ. კოპენჰაგენის სადგურზე მოსულ რუსებს აღტაცებით უხვდებოდენ. რკინის გზებს უფასოთ დაყავდათ კოპენჰაგენლებში მოსულებს, ათავსებდენ პანსიონებსა და კერძო სახლებში, მუქთად ან ძლიერ მცირე ფასებში ექიმები უსასყიდლოთ სწამლობდენ და სხვა.

**პარიზი**. 21 ავგისტო. პრეზიდენტმა და მთავრობამ მანიფესტით მიმართეს ქვეყანას და აუწყებენ, რომ ქვეყნის კეთილდღეობა მოითხოვს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი პარიზიდან სხვაგან იქნას გადატანილი. დაუღალავათა და შეუჩერებლათ იომებს ერი თავის სახელის დასაცავათ და შებღალულ უფლებათა აღსადგენათ. მოთმენა და ბრძოლა—ასეთი უნდა იყოს ლოზუნგი მოკავშირე ჯარებისა, ვიდრე საფრანგეთი და ინგლისი არ შემოუსწრებენ გერმანელებს ზღვაზე და ვიდრე რუსეთი, რომელიც გერმანიის შუა გულში მოიწევს, არ დასცემს უკანასკნელ ლახვარს. ყველგან და საყოველთაოდ აღსდგებიან ფრანგები თავისი ქვეყნის თავისუფლების დასაცავათ და, რომ ამ ბრძოლას მეტი სიძლიერე მიეცეს საჭიროა მთავრობა თავისუფალი იყოს თავის მოქმედებაში. ამიტომ, პარიზის სამხედრო მთავრობის წინადადებისამებრ მთავრობა დროებით საცხოვრებელ ბინათ ირჩევს ჩვენი მიწა წყლის ისეთ ადგილს, საიდანაც მას თავისუფალი ურთიერთობა ექნება მთელ სახელმწიფოსთან. მოუწოდებთ წევრებს საკანონმდებლო დაწესებულებისას, არ განშორდენ მას. მთავრობა სტოვებს პარიზს—მიიღო რა ყოველივე ზომა ქალაქის დასაცავათ. მანიფესტი ასე თავდება: ის ხალხი, რომელსაც მოსპობა არ უნდა, მზათ არის გაიღოს ყოველივე მსხვერპლი და აიტანოს ყოველივე განსაცდელი; დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იგი გაიმარჯვებს.

**პეტროგრადი**. ოფიციალური. 21 ავგისტო. საგენერალო შტაბის უმთავრეს გამგეობისაგან. ამ ჟამათ მიღებულ ცნობებიდან 20 ავგისტოს მომხდარი ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ დასრულდა. ავსტრიელების ცდას, რომ ჩვენი ჯარი გაერღვია, სასიკვდილო ლახვარი დავეცით და გავიმარჯვეთ. მტერი აჩქარებით უკუ იქცა. გამარჯვების ნიშნათ დაგვრჩა დროშა, ტყვიის მფრქვეველები და მრავალი ტყვე.

**პარიზი**. 21 ავგისტო. პუანკარე და მთავრობა ღამით ბორდოს გაემგზავრენ.

**რომი**. პაპათ არჩეულ იქნა კარდინალი დელაკიეზა.

**პარიზი**. 21 ავგისტო. გენერალმა გალიენმა ჯარსა და პარიზის მცხოვრებლებს შემდეგი განცხადებით მიმართა: მთავრობის მოხელეებმა პარიზი დასტოვეს, რომ ახალი ძარღვი გამოუნახონ მტრისგან თავდაცვას. მე მივიღე ბრძანება დავიცვა პარიზი მტრის იერიშისაგან და ეს ბრძანება შესრულებულიც იქნება.

**მოსკოვი**. სასახლის მინისტრმა შეატყობინა ქალაქის თავს, რომ აზნაურ ზუბალაშვილს, რომელმაც სამხედრო საჭიროებისათვის ნახევარი მილიონი მანეთი შესწირა და დაჭრილთათვის ლაზარეთის მოსაწყობათ შენობა დაუთმო, უმაღლესი მადლობა გამოეცხადა.

### ლვოვის აღება.

**პეტროგრადი**. 21 ავგისტო. ტელეგრამა უმაღლესის მთავარ სარდლისა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისადმი 1914 წლის 21 ავგისტოს თარიღით. ოფიციალური. ვსწირავ რა შემომქმედს მადლობას, აღტაცებული სიხარულით მოვახსენებ თქვენს იმპერატორობითი უდიდებულესობას, რომ დღეს, დილის 11 საათზე, გენერალ რუზსკის ძლევამოსილმა ჯარმა ლვოვი აიღო, ხოლო გენერალ ბრუსილოვის ჯარმა—გალიჩი. ვშუამდგომლობ, რომ ყველა წინაბრძოლისათვის გენერალი რუზსკი დაჯილდოვებულ იქნას გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვრით, ხოლო ლვოვის აღებისათვის—გიორგის მესამე ხარისხის ჯვრით; გენერალი ბრუსილოვი კი დაჯილდოვებულ იქნას გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვრით. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მოსულა. **გენერალ** ადიუტანტი **ნიკოლოზი**.

**რომი**. 21 ავგისტო. ახალი პაპა ბენედიქტე მეხუთმეტე დაიბადა 21 სეკტემბერს 1845 წელს. კარდინალათ დაინიშნა მიმდინარე წლის 25 მაისს. უკანასკნელ დროს ბოლონის არქიეპისკოპოზათ იყო.

**სმოლენსკი**. აქ მოელიან დიდძალ ტყვეებსა და დაჭრილებს, რომელნიც გალიციაში მომხდარ ბრძოლების მონაწილენი იყვნენ. ტყვეთაგანნი უმთავრესათ არიან გალიციელები, უგრო-რუსები, ჩეხები და პოლონელები. იმათ ძლიერ უხარიათ, რომ ტყვეთ ჩაცვივდენ. ტყვეები ამბობენ, ჯარში გაზეთების კითხვა აკრძალულია და ავსტრიის პოლონელებმა მთავარსარდლის მოწოდების შესახებ არა იციანრაო.

## სულთანის მანიფესტი.

ოსმალურმა გაზეთებმა სულთანის მანიფესტი გამოაქვეყნეს, რომელშიც შემდეგია ნათქვამი: იმ დროს, როცა ჩვენ ჩვენი სამშობლოს წინსვლისთვის ვიღწოდით მშვიდობიანისა და წყნარის მუშაობით, ევროპაში დაიწყო უდიდესი ომი. ჩვენ უწმიდეს უფლებათა დასაცავათ მე მოვუწოდე ჩემს შვილებს იარაღი აეღოთ. მობილიზაციის პირველ კვირამდე იმდენი ახალგაზდა გამოცხადდა ჩემ დროშის ქვეშ, რომ ახალი საჭიროება ჯარისა დაკმაყოფილებულ იქმნა. მე მახარებს ის პატრიოტული ლტოლვილება, რომელიც აღბეჭდა ჩემმა ერმა, მე ვბძანე შემდეგ დროებით განთავისუფლებინათ სამსახურისგან მოხუცნი და სმხედრო საქმეში მოუმზადებელნი იმ პირობით, რომ მათ კიდევ მოუწოდებდენ დროშის ქვეშ, როცა საჭიროება მითხოვდა. დეე, ის მოქალაქენი, რომლებიც უბრუნდებიან თავის კერას, მინდვრებში მუშაობით მიეშველნენ თავიანთ ძმებს, რომლებიც ჯარში დარჩნენ.

ჩემს მთავრობას მშვიდობიანი ცხოვრება სურს. მე დარწმუნებული ვარ, რომ უზენაესის წყალობითა ნინასარმეტყველის სულიერის დახმარებით და ჩემი ხალხის პატრიოტიზმის საშუალებით ჩვენ შევძლებთ ჩვენის ქვეყნისა და ჩვენ უფლებათა დაცვას ყველანაირი პირობებში. ვუგზავნი ჩემს სალამს ყველა ჩემს შვილებს. მე მსურს, რომ ჩემმა სალდათ-შვილებმა სრული მორჩილება გამოიჩინონ თავიანთ წინამძღოლებისადმი. წინამძღოლების სიტყვა ისევე უნდა იქმნას აღსრულებული, როგორც ჩემი სიტყვა. საჭიროების დროს, როგორც ერთი კაცი, ისე უნდა წავიდნენ სალდათები სასიკვდილოთ. მე მჯერა ჩემის ჯარისა, რომელიც ენერგიითა და საიმმაცით შეასრულებს თავის მოვალეობას.

სულთანის მანიფესტს სამხედრო მინისტრმა ენვერ-ფაშამ თავისით შემდეგი მოწოდება დაუმატა: „მე გიგზავნით ჩვენის დიდებულის და საყვარელ მთავარსარდლის, პატივცემულ ხონთქრის ბძანებას. ჩვენი ჯარის მომავალისთვის მე კეთილ ნიშნათ მიმაჩნია ის ლტოლვილება, რომელიც გამოიჩინა ხალხმა მობილიზაციის პირველ კვირას. ჩვენმა ჯარმა თავის დროს უდიდესი მსხვერპლი უნდა გაიღოს, რათა ჩამოირეცხოს ღვთის შეწევნით შავი ლაქა ბალკანეთის ომისა. ხალიფატისა და ოტტომანიზმის მომავალი დამოკიდებულია იმ სიმამაცეზედ, რომელსაც გამოიჩენს ჯარი თავის მოვალეობის ასრულების დროს. ყოველმა ჯარის კაცმა და ყოველმა აფიცერმა უნდა იცოდეს, რომ ყოველ ნაბიჯს გადა-

## გაქვავებული ქალ-ვაჟი.

(მითოლოგია)

(ვუძღვნი ე. ჯ—ძეს).

12.

(დასასრული, იხ. № 135).

განვლო წლებმა, გაიდა საუკუნე და ის კი, ისევ ისე, ისევ იქ, სად? ვინ იცის? ვინ მიხვდება საიდუმლოს განგების ძლიერებისას? ვინ შეიგნებს ძალას უხილავს, ამ საოცარს განჩინებას იდეალურის თვით არსებობისას...

13.

ვლიდა ის, რონინებდა.. დაძრწოდა ეული იგი ქვეყნიდან ქვეყნად, იჰქმნებოდა მის შესახებ მითები, ლეგენდები, ზღაპრები. იწერებოდა ისტორია, ამბები, მოთხრობები. იგი ყოველგან იყო და არსად არა ჩნდა, ყველა ხედვიდა და ვერავინ განიცდიდა.—აი რას მოგვითხრობს მითოლოგია ამ საოცნებო ადამიანის შესახებ: უნახავთ იგი მტირალი, მოცინარე, მწყრალი, მეხივით მალი, საშინელი... საულივით უწყალო, ულმობელი, ანგელოზივით ტკბილი, ლმობიერი, მოსიყვარულე.

14.

მას იხილავდით ყოველგან, ყველა შესანიშნავ ადგილას კონსტანტინოპოლის მიდამოებზე. ცრემლიანის თვალებით გაჰყურებდა იგი საუცხოო სანახაობას და მოსთქვამდა ხმითა საზარელითა; რას დავსდევ მე ამ დიადს სანახაობას, ამ უწყალო ხვედრს ულმობელის ისტორიისას... სამარცხვინო ბეჭედს ჩვენი ეროვნული სულის კვეთებისას... სადღა არის ჩვენი დიდება, ჩვენი „მე"... სად არის ჩემი იმედი, ჩემი სატრფო, სად გამიქრა, სად მიმეფარა?! აჰა შენი მონა, შენი მორჩილი, გზა და ხიდი შენის რწმენისა, შენანებული, თავ მოხრილი შენს წინაშე... წრფელის გულითა და სპეტაკის სულით... მაპატიე... მაჩვენე შენი სახე, შენი სპეტაკი გრძნობა, გონება!... მზად ვარ დავსთმო ყველაფერი, უარვყო ჩემი „მე", ჩემი არსება... ოღონდ შენ იქნე კმაყოფილი, მხიარული...

15.

გაუჩერდა მას თვალები. მისი გრძნობა, გონება, არსება, ძალი და ღონე, თვალთა ხედვა, ფიქრთა სვლა, ხედვა, მისწრაფება გაიქცა. გასრიალდა... შორს, შორს ზღვის სივრცისკენ და ერთს წერტილთან შეჩერდა.

16.

საუკუნე საუკუნეს მისდევდა, ისტორია ისტორიას, თვით დედა მიწას, ზეცამაც-კი იცვალა ფერი, შეირყა, შეტრიალდა. გმირი გმირს ცვლიდა, ხალხი ხალხს, ქვეყანა საშინელებას სჩადიოდა, მაგრამ ის კი, უცვლელად შეურყეველად, მტკიცის სულითა და უმანკო გრძნობა, გონებით, ფიქალს ეყრდნო და მის სატრფოს ეძებდა, მისთვის იყო, მისთვის არსებობდა...

17.

აი „ვიზ-კულე", სთქვა მან და წამით გაეტაცა მისი თვალები თავის საოცნებო წერტილიდან,—იცით,—ამბობს იგი,—ეს არის ძეგლი, საცნაური ძველის ისტორიისა, ეს არის კოშკი, სასახლე მზის უნახავისა, აშენებული შუაგულ ბოსფორის სრუტის ყელშიდ დღეს მაიკად ქცეულის გემების მიმოსვლისათვის. აუშენებია იგი კონსტანტინე დიდს, თავის მშვენიერ ქალიშვილისათვის, რომ დაეფარა იგი უწყალო გველის კბენისაგან, რაც მას ამხილეს მოგვებმა, რომ მისს ერთად ერთს მარგალიტს, მშვენიერს ასულს გველი დაჰკბენდა და მოკლავდა.

აბა ჩემი ძლიერება თუ გველის ცბიერებაო;—სთქვა მეფეთ მეფემ... და აღაგო ბისბორის მუდმივ მღელვარე სრუტის შუაში თლილი ქვის კოშკი და შიგ მოათავსა თავისი პირმშო ასული...

18.

მაგრამ... მაგრამ გველმა იქაც მიაგნო... განგების ძალას ვერაფერს ვერ დაუდგა წინ, საქნელი იქნა, აღსასრულებელი აღსრულდა... ასე არის, ვერავითარს ძალას ვერ შეუძლია სძლიოს განგების გადაწყვეტილება... იქნება ის, რაც საქნელია, მოხდება ის, რაც უნდა მოხდეს, და მოხდა კიდეც, რაც უნდა მომხდარიყო.

19.

მე ჩემის სურვილით, ჩემი ნდობით, ჩემი ძალღონით შემიძლია განა ვქნა ის, რაც ჩემში არ არის, არ არსებობს?.. რაც ჩემთვის შემომქმედს არ მოუნიჭებია? ეს რომ ასე იყოს, რატომ ვერ გავყევ მეც ამ ზღვის ანკარა ტალღებს, როგორც ის, ჩემ სატრფო, ჩემი ღვთაება, სასოება?.. ან როგორღა ვარ მე უმისოდ კიდევ ცოცხალი? მაგრამ, არა ყველაფერი უკვე განსაზღვრულია თვით ბუნებისაგან. ხე ხილისაგან იცნობების და კაცი საქმეთა მისთაგან... არის მხოლოდ განვითარება ძალისა... და თუ ეს ძალა ბუნებისა ნოყიერ ადგილას მოხვდა და თუ კი მას ხვდა წილად იმავე ბუნებისაგან გაფურჩქვნა, აყვავება, ველარაფერი ვერ შეაჩერებს, ვერ შეკვეცს მისს წინ სვლას, მისს სიცოცხლეს.

20.

ასეთი იყო მეფის ქალის სვეც.

კალათში, რომლითაც მეფე-მამამ თავის ქალიშვილს, მოთავსებულს შუა გულ ზღვაში, თავის ხელით დაკრეფილი მწვანილი და ხილი გაუგზავნა, აი, იმ კალათში რაღაც მანქანებით შეჰყვა პაწაწინა გესლიანი გველი... უკბინა ქალიშვილს და მოჰკლა იგი, რომლის საკვირველი ისტორიული კუბო საცნაურ არს და იქნება წმიდა აგია სიფიის ერთი კარის თავზე უკუნითი უკუნისამდე, როგორც სიმტკიცე შემოქმედების ურყეველის გადაწყვეტილებისა.

21.

გაექცა, გაუფრინდა მას ფიქრთა ზღვა და შესტოპა ოცნების იმ ტალღებში, საცა ყველაფერს კარი ელება, ყველაფერი სჩანს, ყველაფერი სწყდება, მარადისობის უფსკრულში.

22.

მიდამო „ფანარაკის" ბაღნარისა გადამწვანებულ-გადაბიბინებულია ძ სამი მხრით მარმარილოსი და ბურსის ზღვით არის შემოზღუდული.

ობოლი ტირიფი, ამოსული ზღვის პირას, სწორეთ იმ მარმარილოს ფიქალთან სდგას და უჩრდილებს მას მიდამოს, საცა დაყრდნობილა იგი და ხედავს იმ ისტორიულ კოშკის – „კიზ-კულეს" გასწვრივ, საარაკო სურათს მისის სატრფოისას. ბუნება სდუმს, მდელო ბიბინებს, გაიდონი სტვენს საამურს ხმაზე. იქვე, ამ საუცხოო ნახევარ კუნძულის ზღვაში შეჭრილ სვეტზე, მაღალი, ქვიტკირის დიდი სვეტი სდგას. ამ სვეტზე ვეებერთელა კანდელის ფანარია მოთავსებული გემთა მიმოსვლის გამოსაცნობად. ამ ფანარს განუწყვეტლივ დარაჯობს მორიგი და უჩვენებს გზას მუდმივად ამ ზღვის ნაპირებთა შორის მოსრიალე გემებს. ამ კოშკ-სვეტის მახლობლად რამდენიმე ახლად გაყვავილებული აკაცია და ორი სამი დიდრონი ტოტებ გაშლილი ზეითუნის ხეებია. ცოტა მოშორებით ცამდის აწვდილნი ალვის ხეებია გამწკრივებული მჩქეფარე ზღვის პირზე და მედიდურად გაჰყურებენ თვალწარმტაც სანახაობას. წყნარი ღელვა გარშემორტყმულ ზღვისა განუწყვეტლივ ურტყამს კუნძულის ნაპირებს და უქროლებს საამო სიოს მობიბინე ყვავილებთა ლეგიონს. სხვა და სხვა ჯურისა და ფერის ვარდთა ბუჩქები და სხვა ყვავილები ნელ-ნელა ირხევიან და სასიამო დამათრობელ სურნელოვანებით ქლენთენ ჰაერსა და ატკბობენ მიდამოს... ობოლი ტირიფი კი ძირს გრძლად ჩამოძაძულ შტოებით ნელ-ნელა, ნაზად, სარისტან ქალწულივით ირხევიან... ერთს ტოტს თავისი ნაზი, მოგრძო, მწვანე

დგმულს უკან ბრძანების მიუცემლად, შეიძლება მოჰყვეს სამშობლოს და ხალხის დაღუპვა. ჯარისა და ხალხისთვის უკან დახევა—დაღუპვაა, წინ სვლა კისიცოცხლე და ბედნიერებაა. დეე, მტერმა შიში სთესოს თავისი ზარბაზნებით და თოფებით, ჩვენ მუდამ წინ უნდა მივდიოდეთ. რადგანაც—გიმეორებთ მე—წინსვლაშია ჩვენი მატერიალური და ზნეობრივი ძალა. თუ ყოველი ჯარის კაცი შეასრულებს თავის მოვალეობას, თუ ისინი ღმერთ-დანდობილნი წინ გასწევენ—მე დარწმუნებული ვარი ჩვენი ჯარიც ისევ ძლევა მოსილი იქმნება, როგორც ჯარი ჩვენ სახელოვან წინაპართა“.

## პრინცი ნაპოლეონ-ლიუდოვიკო ბონაპარტე და პრეზიდენტი რაიმონდ პუანკარე.

საფრანგეთის ცნობილმა ისტორიკოსმა აკადემიკოსმა ფრედერიკ მასონმა პრინც ლიუდოვიკ ნაპოლეონისგან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო.

„ჩემო ძვირფასო ბატონო მასონ: მსგავსად მრავალ ჩვენ თანამემამულეთა, უკანასკნელ წუთამდე ვფიქრობდი, რომ დიდი შეიარაღებული კონფლიქტი თავიდან აგვცდებოდა.

თქვენ, ცხადია, გაიგებთ რა ღრმა მღელვარებას განვიცდი, როცა საფრანგეთის ჯარის მობილიზაციის ცნობა მივიღე.

შევლალადებ ჩვენ ძველს მეგობრობას და ვიმედოვნებ, რომ შრომას გასწევთ და ჩემს თხოვნას ბატონ რესპუბლიკის პრეზიდენტს გადასცემთ.

თუ ეს თხოვნა არ იქმნება ასრულებული, მე ჩვენ დიდ მოკავშირეს მივმართავ, სადაც მე 17 წელიწადი ვიმსახურე.

მიიღეთ რწმუნება ჩემის ღრმა პატივისცემისა.

ლიუდოვიკო-ნაპოლეონი.

პრინცი ლიუდოვიკო ნაპოლეონ ბონაპარტი ძმა არის საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტის პრინც ვიკტორ ნაპოლეონ ბონაპარტესი. ამ ოცდაათი წლის წინეთ საფრანგეთმა კანონი გამოსცა, ეგრედ წოდებული „კანონი პრინცების შესახებ“, რომლის ძალით საფრანგეთის დინასტიების ჩამომავლობას რესპუბლიკაში ცხოვრების უფლება არ ეძლეოდათ, თუ წინდაწინვე უარს არ იტყოდნენ თავის პრეტენზიებზე. ეს კანონი შეეხებოდა ჰერცოგს ომალისას, გრაფს პარიჟისას, გრაფ შამბორს და საიმპერატორო სახლის ყველა პრინცებს. ამ ჟამად საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქის უფლებით სარგებლობს პრინცი როლანდ ბონაპარტე, რომელმაც საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტობაზე უარი სთქვა. რაც შეეხება საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტ პრინც ვიქტორ ნაპოლეონს და მის ძმა ლიუდოვიკო ნაპოლეონს ისინი გაძევებულ იქმნენ საფრანგეთიდან. პრინცი ნაპოლეონ-ლიუდოვიკო რუსეთის ჯარში მსახურებდა და გენერალ-ლეიტენანტის ჩინს მიაღწია.

მოგვყავს პრინც ლიუდოვიკ—ნაპოლეონის წერილი, რომელიც აკადემიკოსმა მასონმა პრეზიდენტ პუანკარეს გადასცა;

,,ბატონო პრეზიდენტო! მას შემდეგ, რაც 30 წლის წინეთ სამხედრო ბეგარა მოვიხადე საფრანგეთში, განსაკუთრებულ კანონის ძალით საფრანგეთის მოქალაქის უფლებანი მომესპო და გამომრიცხეს ჯარის სიებიდგან.

მობილიზაციის ბრძანება ამ ჟამად ყველა ფრანგს მოუწოდებს, გამოვიდეს იარაღით ხელში.

ვბედავ, ბატონო პრეზიდენტო, მოგმართოთ თქვენ, როგორც პირველ პირს რესპუბლიკისას, შეძლება მომცეთ მონაწილეობა მივიღო სამშობლოს დაცვის საქმეში.

ბედნიერი ვიქნები აღვასრულო ყველანაირი მოვალეობა, რომელსაც კი დამაკისრებენ.

კეთილ ინებეთ, ბატონო პრეზიდენტო, და მიიღეთ ჩემგან გრძნობა ღრმა პატივისცემისა.

ლიუდოვიკო-ნაპალეონი, რუსის საიმპერატორო ჯარის სამსახურ გარეშე მყოფი გენერალ-ლეინტანტი.“

როგორც ვიცით, პრეზიდენტმა პუანკარემ ვერ შესძლო დაეკმაყოფილებინა პრინც ლიუდოვიკო-ნაპოლეონის თხოვნა, რის გამოც პრინცი პეტერბურგს წავიდა.

## პატარა ფელეტონი.

### გაზაფხულის მსხვერპლი.

უკანასკნელათ ჩამოცურდა მთის ფერდოზე ყინულის წყალი, უკანასკნელათ გადაბანა დაქცლილი ბალახის ძირები და არაჩვეულებრივი ჩქაფი-ჩქუფით დაქანებული, ხანმოკლე ნაკადულათ ქცეული გაექანა დანიშნულ ადგილისაკენ.

პატარ-პატარა მცენარეებმა იგრძნეს თუ არა თავისუფლება, წელში გაიმართენ და თავის ქნევით გული გადაუშალეს მზის სხივებს...

იმანაც ახლათ ამწვანებულ მიდამოს უხვათ მიაფრქვია თავისი სხივები, თითქოს სურს ყოველი ყვავილი, ყოველი ბუჩქი, ხე, თუ ბალახი ოქროს შარავანდედით შემოსოსო.

აჰა, ერთი სხივი სტყორცნა ამ დიადმა მნათობმა პიტალო კლდეს და ათასფერათ აფორაჯებულმა ალმასის თვალივით ბრჭყვიალითვე უპასუხა...

— ჰოხ, რა მშვენიერი ჩვეულება გვაქვს, შენ, ბუნების გვირგვინო და დიადო მნათობო!.. შენთვის არ არსებობს არც დიდი და არც პატარა, შენთვის ერთია მდიდარი და გლახაკი... ნეტარ არიან ვინც შენ სხივებს არ გამოსალმებიან სიცოცხლითვე.

ყველა სტკბებოდა ბუნების დიადი სილამაზით...

ყველა არ იყო კმაყოფილი ცხოვრებით.

მაგრამ ხანდახან ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი წუთები, როდესაც კაცი ივიწყებს ყოველივე კაეშანს ღუხჭირი ცხოვრებისას და ბუნების სილამაზით გატაცებული თუ სულ არა, წუთიერათ მაინც სტკბება...

ისიც გაზაფხულის სიმშვენიერით გატაცებული ყოველ დილით გამოდიოდა სასეირნოთ და ყრუ ქუჩებით გაეშურებოდა ხოლმე ქალაქ გარეთ.

— ჰეხე... ჰეხე... შემოესმა მას სუსტი და მიქანცული ხმით ხველა...

ის გამოერკვა თავის მდგომარეობიდან და უნებლიეთ გაიხედა იქით, საიდანაც არაჩვეულებრივი ხმა მოესმა.

შეკრთა... ტანში რაღაც ჟრუანტელმა დაუარა. ერთი წუთიც და ის ქანდაკებასავით გაშეშებული მისჩერებოდა აივანზე მჯდომს ყმაწვილ ქალს.

სანთელივით გაყვითლებული სახე, ჩავარდნილი შავი თვალები... არაჩვეულებრივათ აწითლებული ლოყის კვერები...

ბროლივით ჩამოთლილი ხელის-თითები... მხრებზე გადაყრილი მაყვალივით შავი ნაწნავები... ყველა ესენი ერთად რეულნი ამშლელი იყო იმ გრძნობის, რომელიც „ბუნებით წყნარს მშვიდობიანს, ათვალთმაქცებს, აჯამბაზებს“.

მისი გიშერივით შავი თვალები ექვიანათ გაყურებდა მობიბინე ტყე-ველს, თითქოს გრძნობდენ, რომ დამდგარიყო ისეთი დრო, როდესაც იმისთანები საუკუნოთ ესალმებიან წუთისოფელსაო.

— ჰეხე... ჰეხე... ჩაახველა ყმაწვილმა ქალმა ისეთი მისუსტებული ხმით, რომ გეგონებოდათ ეს ეს არი ამ ხმასთან ერთად სიუკუნოთ უნდა დახუჭოს თვალიო.

ამ ხმამ გამოარკვია ის და ცოტა დარცხვენილი და გრძნობა აშლილი ბარბაცით გაემგზავრა თავის გზაზე.

ის თითქმის ყოველდღე იმ გზით დადიოდა. არ შეიძლებოდა ინსტიკტიურათ არ შეჩერებულიყო იმ სახლის პირდაპირ და ერთი თვალის გადავლებით წუთიერათ მაინც არ დამტკბარიყო.

გავიდა ხანი. ერთ დღეს მას ჩვეულ ბრივათ იმ სახლთან უნდა გაევლო. გულს ბაგაბუგი გაქონდა, სანამ მას მიუახლოვდებოდა...

ჰაა სახლიც... მაგრამ იქ ქალი ჩვეულებრივათ აღარ იჯდა...

მის მაგიერ იქ ხალხი ფუსფუსებდა და ყრუ გოდების ხმა მოისმოდა.

მ. კიკნაველიძე.

## ქუთაისი

### ახალი ამბავი.

ქუთაისის ექიმთა საზოგადოებამ გადასწყვიტა უფასოთ უექიმონ ჯარში გაწვეულთა ოჯახების წევრებს, როგორც თავის სახლში, ისე თვით ავათმყოფებთა ბინაზე.

✦ კავკასიის სამელიორაციო საბჭოს საორგანიზაციო ბიურომ ქუთაისის ქალაქის თავს ბ. ი. მ. ჩიქოვანს გამოუგზავნა საანკეტო ფურცლები. ბატონმა ჩიქოვანმა ეს შეკითხვის ფურცლები უნდა გადასცეს იმ პირებს, რომელთაც ძალის საკვლევი მანქანა „ბარომეტრები“ აქვთ, ხოლო მანქანების პატრონებმა კორესპონდენტობა უნდა გაუწიონ. როცა ამ ფურცლებში ყოველივე კითხვებზე პასუხს ჩასწერენ—უნდა დაუბრუნონ ისევ ქალაქის თავს ქ. თფილისში, სამელიორაციო ბიუროში გასაგზავნათ.

✦ ქუთაისის ქალაქის თავს ბ ი. მ. ჩიქოვანს მეფის მოადგილემ გუბერნატორის საშუალებით შეატყობია, რომ მისმა უდიდებულესობამ **ხელმწიფე იმპერატორმა** კეთილ ინება და ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას უმაღლესი მადლობა გამოუცხადა პარაკლისის გადახდისა და უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოთქმისთვის.

✦ 28 აგვისტოს ოლქის სასამართლოში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ნიკოლოზ ქუთათელაძის მამული, რომელიც გოჰოურაზე მდებარეობს. მამული 110 მანათად არის შეფასებული.

✦ გუბერნატორის სამმართველო ქალაქის გამგეობას სთხოვს, გაუგზავნოს მას ქალაქის მამულების საზოგადო შეფასების ინსტრუქცია.

✦ სანიტარმა ვ. ბეჟანეიშვილმა გელათის ქუჩაზე ოქმი შეუდგინა რაფიელ ხოტეველს სანიტარული წესის დარღვევისათვის.

✦ დღეს, 23 აგვისტოს, საზოგადო საკრებულოს საზაფხულო შენობაში გაიმართება საოჯახო საღამო, ლოტო და ცეკვა.

✦ 22 აგვისტოს ქუთაისის ბაზარზე სიმინდის ფქვილი ფუთი 7 აბაზად ფასობდა, ლობიო კი 1 მანათად.

✦ 11 აგვისტოს დ. ნაოდალევიდან ხონში მოდიოდა დელიჟანი, რომელსაც რამდენიმე მგზავრი მოყავდა. როცა დელიჟანი ხონს მოუახლოვდა, თავს დაესხა ორი შეიარაღებული უცნობი. მათ იოფი გადმოიღეს და მეეტლეს გაჩერება უბრძანეს.

ისინი ეცენ დელიჟანის პატრონს არტემ მანტუას და ფული მოსთხოვეს, მაგრამ მეეტლე მიეშველა და ყაჩაღებს წინააღმდეგობა გაუწიეს. ყაჩაღებმა ისინი რევორვერებით შეაშინეს და ყველანი გაცარცვეს. ერთი ყაჩაღთაგანი, ვიღაც ლოლუა, პოლიციამ მესამე დღეს დ. ხონში დააპატიმრა და ქუთაისს გაგზავნა. მეორის კვალს ჯერ ვერ მიაგნეს.

✦ ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს თავის ჯამაგირის ერთი პროცენტი გადსდვან ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ.

## ორიოდე სიტყვა გალობის შესახებ კათოლიკეთა ეკლესიაში.

გაზეთ „იმერეთის“-ს 132 №-ში მოთავსებული იყო წერილი „ცოტა რამ უწესოება ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში“, სადაც ბ. კეთილის მსურველი შეეხებოდა სხვათა შორის გალობას, რომელიც სრულდება სავსებით ლათინურათ. რა არის ამისი მიზეზი, რისთვის არის ასეო—უსაყვედურებდა ბ. კეთილის მსურველი მამა დამიანეს.

ამის შესახებ ჩვენ მამა დამიანესთან გვქონდა მოლაპარაკება, რომელსაც დაესწრო აგრეთვე მამა შიო ბათმანიშვილი. ამ მოლაპარაკების დროს გამოირკვა შემდეგი:

წირვა საზოგადოთ ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში (გარდა სამცხისა და ჯავახეთისა) სრულდება ლათინურათ, რადგან ეს ეკლესიები ეკუთვნიან რომის კათოლიკეთა რიგს. რაც შეეხება გალობას—გალობა არის და ყოფილა ლათინური, მხოლოდ ალაგ-ალაგ ხანდახან იგალობებდენ ხოლმე ქართულათ სხვადასხვა ლოცვებს.

ყოფილა ეკლესიის ერთი ბრძანება, რომლის ძალითაც წირვის დროს გალობაში ჩართული უნდა იყოს, ეგრეთწოდებული გრიგოლისეული შეერთებული გალობა—plain chant- გალ ა გრიგოლ პაპისა. პაპა გრიგოლ I (590 –604 წ.) შეიმუშავა და გადასწყვიტა ხმარება ამნაირი გალობისა, რომელსაც შემდეგი დაერქვა „cantus Greqorianus“ —გრიგოლისეული გალობა. პაპი პიო X-ს დეკრეტით (11 აგვ. 1905 წ.) კვლავ დადასტურდა ეს გალობა, რომლის შესრულებაც ევალება ყველა ეკლესიებს ლათინის რიგის. და რადგან ეს გალობა ქუთაისის ეკლესიაში ლათინურ გალობის დროს არ იყო ხმარებაში, ამისათვის მამა დამიანემ ეს გალობა კვლავ განაახლა. ჩვენაიდგან ეს გალობა ძნელი შესასრულებელი იყო და ქუთაისის ეკლესიას აქამდის სპეციალისტი ორვანისტი არ ყავდა, ამისათვის შესრულებაში ვერ შეეყვანათ).

უნდა აქვე შევნიშნოთ ის, რომ ეს “plain-chant“-ი აქაურ ეკლესიაში წინათაც იგალობებოდა და ახლაც იგალობება ქართულათ შობის მარხვაში და დიდმარხვაში, როდესაც წირვის დროს მუსიკა უკრავს და მთელი გალობა სრულდება ქართულათ (ეს ლოცვები მთელი წირვისა შეგროვებულია ერთ წიგნში, სახელად „ცისკრის ლოცვანი“, რომელიც შეიცავს 654 გვერდს; რამდენიმე ძველი ხელნაწერები ამ წიგნისა ინახება ქუთაისის ქართველ-კათოლიკეთა დავთარხანაში).

მიუხედავათ იმისა, რომ პაპი გრიგოლის გალობა წირვის დროს შეიძლება შესრულდეს ქართულათ, რაიცა ჩანს სხვადასხვა ძველ წერილებიდან. მაგ. უფროს პატრი ფილიპეს წერილიდან, რომელიც საქართველოდან გაიგზავნა რომს 23 იანვარს 1815 წ. და სადაც შემდეგია მოხსენებული: ,,...როდესაც იქ პატრი იმყოფება, წირვა ლათინურად სრულდება და მგალობლები (იქ დიაკვნებათ წოდებულნი) ხმოან წირვაზე გალობენ და პასუხს აძლევენ ქართულად: ეგრეთვე ამავე ნაირად ამბობენ ჟამ-კანონს და სხვა ლოცვებს‘‘. (იხ. მღვ. მიხ. თამარაშვილის წიგნი ,,ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის‘‘. გვ. 503). ესევე ადგილი თვით პატრი ფილიპეს წერილში იტალიურათ ასეა მოხსენებული ,,... si celedra in latino e Ii cantori (gui detti diaconi) neiIa messa cantata cantano e respoudono in Giorgiano e cosi ancora dicono e'ufficio deIIa madonna,ed aItre orazioni“ (ipid გვ. 831)*), მერე ზემოთმოყვანილი საგალობელი ლოცვის წიგნი ,,ცისკრის ლოცვანი‘‘-ც ამასვე გვიჩვენებს, გარნა ამას ყველაფერს აქვს რამდენიმე დამაბრკოლებელი მიზეზები, მაგ. 1) ახალმოყვანილმა ორგანისტმა ჯერ ქართული კარგათ არ იცის, 2) თვითონ ეს გალობა ძალიან ძნელია, მით უმეტესი, რომ ქართულ გალობისათვის ამ ხმაზე ნოტები არ არსებობენ, 3) ხორო მხოლოდ ახლა დგება და სხ. და ეს ყველაფერი შემდეგში რასაკვირველია ძლეულია ძალეული იქნება.

რაც შეეხება მეორე მუხლს ბ. კეთილის მსურველის წერილისას, ამის შესახებ მამა დამიანემ წარმოადგინა ოქმი იმ კრებისა, რომელმაც დაადგინა, რომ მღვდელი ალმართზე ასვლისას ჯდება ეტლში და ისე აცილებს მიცვალებულს. კრებას, რომელიც პირველ ივნისს მომხდარა დასწრებია 38 კაცი, რომელთაც ერთხმათ დაუდგენიათ ესეთი გადაწყვეტილება.

სოსო ასლანიშვილი.

## დაბა-სოფელი.

**ს. სვირი** (ქუთაისის მაზრა). კვირას, 17 აგვისტოს, აქ შესდგა წიგნთ-საცავ სამკითხველოს წევრთა კრება. კრებაზე განხილულ იქნა მრავალი საკითხი. დიდი ყურადღება მიიპყრო და ცხარე კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ რომელი წყაროებიდან აღმოეჩინათ მატერიალური დახმარება სამკითხველოსათვის: ვინაიდან ამ მხრივ სამკითხველოს სამუდამოდ დასამარება მოელოდა, წევრების შემო- ნილი ფული ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებდა მის საჭიროებას, სხვა წყაროებიდანაც მოგროვებული ფული უკვე დახარჯული იყო, და ახლა კი მომავალი წლისთვის სამკითხველოს ფული ესაჭიროებოდა. წევრებმა შემოსავალ-გასავლის წიგნის გადათვალიერების შემდე დაინახეს, რომ სულ რჩებოდა ფული 14 მ. 28 კ. ახლა კი მომავალი წლისათვის გაზეთების, ბინის და სხვა სამკითხველოს საჭიროებისათვის იანგარიშეს 70 მანეთამდე.

ამიტომ, რადგან ხარჯი დიდი შეიქმნა და მის დასაფარავად ფული არ იყო, შემდეგი დასკვნა გამოიტანეს: „რადგან აქაურ ორ-კლასიან სასწავლებელს წიგნები, რვეულებ და სხვა სასწავლო ნივთები ესაჭიროება, ამიტომ ეს ნივთები მოიტანოს სამკითხველოს გამგეობამ და თავ-თავის დროზე მიაწოდოს ბავშვებს, და რაც აქედან მოგება დარჩეს, სამკითხველოს მოხმარდეს“.

ამისგამო სთხოვეს აქაურ სასწავლებლის ზედამხედველს, გიორგი ჯულელს, რათა დაედგა სასწავლებლის შკაფი სამ-

*) ამ საბუთების დამტკიცება არის რომის პაპისაგან თუ არა, ჩვენ არ ვიცით (ს. ა.)

---

ფოთლები მეტად ძირს დახრია და იქვე მორცხვად მიბნედილ--მინაზებულ, ახლად გადაშლილ ია ელამუნება, ეტრფის, იწვევს საარშიყოთ, საკოცნელად... ია კი თრთის, კანკალებს... ის სულ განაბული ყურს უგდებს იქვე ტირიფის მწვერვალზე ცკვიტად შესკუპებულს უკვდავების მგოსანს—გაიდონს. ის შეუპყრია ერთის მხრით მგოსნის კოცნის ეშხს, მეორე მხრით იქვე მის თავით უძრავ ლოდზე დაყრდნობილი ადამიანის დაუსაბამო ცრემლების ნაკადულს. ალეგზს მისი დაუსრულებელი ნაღვლით სავსე ლოცვა, სატრფოს ძებნაში ჩამარხულის გულის ძგერითა. ეს მერამდენე საუკუნეა, რაც ამ ნაზ ქმნილებას აქ უპოვია თავშესაფარი და ამ ობოლ მაჩრდილებელ ტირიფის ქოლგას ქვეშ განაგრძობს თავის სუსტს არსებობას... შესტრფის ბუნების სიდიადეს... მოწამეა ქვეყნის სიმკაცრისა...

საბრალო ადამიანო!—ამბობს ეს ნაზნარნარი ყვავილთ სქესი,—შენ ხომ ვერა გრძნობ ამ დიდებულ ბუნების ძალას მის სიტკბოებისას, მის ნექტარ მფენ ჰაერს?.. ხომ ვერა, ხომ ვერა?.. და თუ კი?.. მაშ რატომ ხარ ასე მოწყენით, ასე ნაღვლიანი?.. ნუ თუ არ გყოფნის ბუნების უხვი წყალობა, განგების უთვალავი სიმდიდრე?..

კითხვას კითხვაზე იმეორებს ნაზი ია, შესცქერის რა წამებულს ადამიანს, გარინდულს ცივი ქვის ფიქალზე და შეცურებულს თავის ცრემლთა მორევში... ის კი სდუმს... და ისევ ისე გასცქერის იმ თვალუწვდენელ მღელვარე ზღვის სივრცეს, როგორც გუშინ, შარშან, ახისა და ორას-სამასი წელი... საუკუნოები.

— იავ! იავ!—აღმოხდა მას გულის სიღრმიდან,—რას მეკითხები, რას ლამობ, რა გინდა გითხრა?.. განა არ იცი შენ თვითონ რას ვეძებ მე?..—ნუ თუ არ გესმის, რომ მე დავკარგე ის, რაც ყველაფერია, ძლიერი, კარგი, სანატრელი ყოველ არსებისთვის და ყოველი არსისთვის... მე ვეძებ ჩემს სატრფოს,—ჩემი ერის სულს, ჩემს სიცოცხლეს, ჩემს უკვდავებას... შენ გესმის ტკბილი ჰანგი შენის მგოსნისა, უწყინარო ქმნილებავ, ნაზო ნარნარო, სტკბები, სიამოვნებ ქვეყნის სიუხვით, სიდიადით და ის კი... ეჰ! ღმერთო, ღმერთო ჩემო! ის კი, ობოლ-ოხერი, უთვისტომოდ არის მინაზებული, მიმკრთალი, ღონე მილეული, მომაკვდავი და უცდის მისს მგოსანს, მისს გმირს, მისს გულის მეფეს სულის ტოლს და აი, გერ... „მირბის მიგვაფრენს“ საუკუნოები და მე მის მაგეზარს, მაყივნებელს ჯერაც აქ, ამ ლოდზე მიდევს უბედური თავი...

24.

შეირხა ტირიფი, შეკრთა ია, აშრიალდა ყვავილთა ბუჩქები, შესწყდა სტვენა უკვდავების მგოსნისა... რაღაც იდუმალობამ მოიცვა არე-მარე. დარაჯი დიდ სვეტზე მოთავსებულ ფარნისა ცქერად გადაიქცა, საუცხოვო ხანახაობამ მოიცვა მისი გრძნობა გონება... ხედავს ის ადამიანს ფეხით მიმავალს შუაგულ ზღვაში. დაიბნა, აირია, დარაჯის თვალი, დაივიწყა ყველაფერი, ველარ ანიშნა გემთა მიმოსვლის საცნაური მეზღვაურებს და გემებიც აირივნენ...—ვაი!—შეყვირა დარაჯმა,—მიშველეთ! უშველეთ!.. ხედავს, რომ ის ადამიანი, რომელიც ზღვაზე ისე მიდის, როგორც ხმელეთზე, უნდა მოჰყვეს ორ გემთა შუა... ჰოი, საკვირველებავ, რას ხედავს იგი: გემები დაეტაკნენ მიმავალ ადამიანს... დაიმსხვრნენ, განადგურდენ... ადამიანი-კი უვნებლად მიდის... განაგრძობს თავის გზას...

და შეჩერდა იგი იქ, სწორეთ იქ, საცა ის საუკუნოებით შესცქეროდა რაღაც საოცნებო წერტილს... და ეს იყო მისი სატრფო, მისი ღმერთი...

მივიდა, მიაშურა მას, და აქ კი ორივენი ერთად დაინთქნენ ზღვის უფსკრულში... და ასე აღესრულა სასწაული იგი და „მითი“ ესე.

25.

ბოსფორის სრუტის მარმარილოს ზღვის შესართავთან: პერა-სტანბულ, სკუტარისა და კადიქოის შუა, წყნარ ღამეში მთვარის მკრთალ სინათლეზე,—ამბობს მითოლოგია,—ნათლადა სჩანს საკვირველი სურათი ერთმანეთზე გადახვეულ მოტრფიალე ქალ-ვაჟისა, რომელთაც ბროლის მსგავს ხელებში უჭირავსთ ბრწყინვალე ჯვარი გაშვერილი, წმიდა „აგიასოფიის“, დღეს მეჩეთად მყოფ, საკრებულო ტაძრისკენ, ზეწარწერით „სულიერისა“ და ეს მანამ ასე იქნებაო, მოგვითხრობს იგივე გადმოცემა,—სანამ წმიდა აგიასოფიის დიადს გუმბათზე დაიდგმოდეს ისევ ის ჯვარი, რომელიც მას ამშვენებდა ბიზანტიის მფლობელობის დროს... და თითქოს, ეს ის ჯვარი იყოს, რომელიც იქ, იმ შუა ზღვაში, მოსჩანს მოტრფიალე ადამიანის სახით „გაქვავებული ქალ-ვაჟის ხელში“.

ისე რაჭველი.

სავაჭრო სახლი ი. ზოკაიძის ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზოგიერ ფასებში მიღებულია და იყიდება პორტფელები, უბის წიგნაკები (ჯიბის), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები. სახელმძღვანელო წიგნები. ჯიბის წიგნაკები.

დაკვ. ლამპიონების, ქუთაისის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყ. ბილება ქ. ქუთაისში. ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა.

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანალდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

კითხველოში სასწავლო ნივთების შესანახათ.

რასაკვირველია, ამ წინადადებას წევრები დიდის აღტაცებით შეხვდენ, ხოლო ლახვარივით გულშიდ მოხვდა ბატ. ზედამხედველს, გიორგი ჯუღელს, მის შვილს სტ. კ. ჯუღელს და მასწ. ცხადიძეს. ყველა კრებაზე დამსწრენი ძლიერ გააკვირვა მათმა აღშფოთებამ. ჯერეთ კრების გახსნის პირველ შეკამათების დროსაც დიდი საწინააღმდეგო იერიში მოჰქონდათ ბატ. გიორგი ჯუღელს და სტ. კ. ჯუღელს, რომლებმაც დიდი ალიაქოთი ასტეხეს „რაო და წევრები ფულს არ იხდიან, ისინი მოღალატეები არიანო, ამისთანა წევრები ჩვენ არ გვინდაო...

ამოჰგვშალეთ სიიდან, ჩვენ არ გვსურს ევრებათ ყოფნაო და სხვა...

მერმედ კი, როდესაც საკითხი სამკითხველოს არსებობას შეეხებოდა და სთხოვეს ბატ. ზედამხედველს, გიორგი ჯუღელს, შკაფი დაედგა სამკითხველოში და ამით დახმარება აღმოეჩინა, ის განზედ გადგა, მოღალატის როლის თამაში დაიწყო.

რა იყო მიზეზი?

აი რა: ბ. გიორგი ჯუღელი და მისი მასწავლებელი ცხადაძე დიდ ბედნიერათ სთვლიდენ თავს და უდარდელათ ზეიმს ეწეოდენ.

აბა რათ არ იქმდენ ასე? მათ იქ ყოფაში ყოველ წელს ნაბრძანები ჰქონდა, მოსწავლე ბავშვებს სამ-სამი მანეთი მოეტანათ, და ეუბნებოდენ: „ამ ფულით მთელი წლის წიგნებს და სხვა ნივთებს ჩვენ ვიყიდით, თქვენ კი თავისუფალი იქნებითო“.

აბა, წარმოიდგინეთ, სამი მანეთის გადახდა გლეხის ბავშისათვის, მერე კიდევ ერთად?

საბრალო ბავშვები!! უარის თქმა ხომ უადგილო იყო მათთვის, და ყოველ მათგანს მოჰქონდა თავისი ხვედრი ფული;

ეს ვაჟბატონები კი იმის ცდაში იყვნენ, თუ რამდენი ჩამოეგლიჯათ ამ მოგროვილი ფულიდან და, რასაკვირველია, ჰგლეჯდენ და ჰგლეჯდენ ამ ფულს ასობით და ორასობით. აბა, წარმოიდგინეთ, 300—400 ბავშვს რამდენს ჩამოგლეჯდენ. ასე და ამ რიგათ ბ. ზედამხედველი, გ. ჯუღელი, და ცხადაძე ვაჭრულის წესით მოქმედობდენ სასწავლებელშიდ.

ახლა კი, როდესაც მათი შემოსავალი წყარო ხელიდან ეცლებოდათ ერთი, განგაში ასტეხეს და დიდი ჯამბაზობა გამოიჩინეს: სამკითხველოს ინტერესები სულ დაავიწყდათ და ცდილობდენ როგორმე სამკითხველო მოესპოთ და გაენადგურებიათ.

ბ. სტ. კ. ჯუღელი სიტყვით რომ ვერას გახდა, ჯოხით დაიწყო მოქმედება და ლამის ყველას თავები არ დაგვიპო: დაურთო მაგიდებს ჯოხი და „ПОШОЛЪ СВОЛОЧЪ-ების“ ძახილით გვიმასპინძლდებოდა.

ასეთი ხრიკული მოქმედებით ძარცვავდენ მოწაფეებს და ასეთი ველური ჰანგებით გალობენ ეს ვაჟბატონები და ელობებიან ყოველ კულტურულ საქმეს!

განა მეტი შავრაზმელობა კიდევ შეიძლება?!

ინ-ჯანი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ნაცვლად იმ გვირგვინისა, რომლითაც უნდა შეგვემკო თფილისში გარდაცვალებულის ნატალია ესტატეს ასულის ჯაფარიძის კუბო, უმორჩილესათ ვსთხოვთ „იმერეთი“-ს პატივცემულ რედაქციას გამოგზავნილი ერთი თუმანი გადასცეს ომში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე ქუთაისის კომიტეტს.

პატივისცემით

ს. და ი. ბაქრაძენი.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნუმერში მოათავსოთ შემდეგი. კომისია ხონის სავაჟო პროგიმნაზიისა უცხადებს თავის გულითად მადლობას იმ პირთ, რომელთაც, მიუხედავათ შარშანდელი მოუსავლობისა და დღევანდელი მობილიზაციისა, თავისი წვლილი გამოიღეს ხონის 6 კლასიან პროგიმნაზიაში მეშვიდე კლასის გახსნისათვის 19¹⁴/₁₅—სამოსწავლო წელში. ხონის პროგიმნაზიის სრულ გიმნაზიათ გადაკეთების შესახებ შუამდგომლობა პროგიმნაზიის დირექტორმა უკვე წარუდგინა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს 7 აგვისტოს ამა 1914 წლისა 681 ნუმრით.

აქვე ვარდგენთ შემოწირველთა სიას. დ. ი. ჩხიკვიშვილმა 150 მან., ს. დ. გლუშანოვამ, დ. ვ. გლუშანოვმა, ი. ი. ჩხიკვიშვილმა მ. ვ. ბახტაძემ, ვ. კ. ნანადარეიშვილმა, ლ. დ. სალაძემ, პ. ივ. ჩხენკელმა, 50 მანეთი თითომ; პ. ივ. ჩხიკვიშვილმა, პ. გ. წივწივაძემ 40 მან. თითომ, ი. კარტოზიამ, ი. გ. ბახტაძემ, რ. სულაბერიძემ, 30 მან. თითომ; ვ. ა. ქუთათელაძემ, მ. ი. სალაძემ, გ. ი. ჭავჭანიძემ თითომ 25 მ.; ა. სიმონიძემ, მ. ჭელიძემ, ვ. თ. მაღარაძემ, იე ჭავჭანიძემ, გ. პ. მაღარაძემ, ს. ბალავაძემ, ს. კ. ჩიქოვანმა, ბაირამოვმა, ნ. ვ. ნადარეიშვილმა, ს. პ. ფანცულაიამ, გ. პ. მაღარაძემ, კ. ქუთათელაძემ, ი. პ. ტაბიძემ, გ. ბ. ქუთათელაძემ, დ. ჯალაგანიამ, გ. უგრეხელიძემ, რ. მაღარაძემ, ნ. ჩხენკელმა, ლ. სანოძემ თითომ 20 მანეთი; მ. ივ. ჩხენკელმა, გ. და კ. ქუთათელაძეებმა კ. კაკაბაძემ, მღვდლის ზაქარია მჭედლიძის მრევლმა, ნ. ნ. ქუთათელაძემ, დ. ი. ქუთათელაძემ, ს. დ. მამალაძემ, ი. ქორქაშვილმა, ი. სალარაძემ, ს. ი. ჩირგაძემ, ს. ბახტაძემ, მ. ჭელიძემ, მეპურე მირზამ 15 მანეთი თითომ, მღვდელმა ზაქარია მჭედლიძემ, ს. ივ. ჯორბენაძემ, პ. ო. სანოძემ, ს. ი. კაკაბაძემ, ნ. გ. ჭავჭანიძემ, ს. ნ. გაბისონიამ, ვ. ი. წვერავამ, ს. ლომიძემ, ს. ელიგულაშვილმა, ი. პ. დანელიამ. ა. პ. ხაჭაპურიძემ. ლ. კ. მებუკემ, პ. პ. ფანცულაიამ, ა. პ. ანჯაფარიძემ, ს. სალარაძემ, ი. დ. ესაძემ, ი. ხუჭუამ, გ. მელაძემ, ე. უგრეხელიძემ, კ. ბახტაძემ, პ. კუპრაშვილმა, თ. ბალავაძემ, ი. გორდაძემ, კ. გორდაძემ, გ. კოხრეიძემ, რ. ლეჟავამ, ვ. ბახტაძემ, ა. ბახტაძემ, პ. ავალიანმა, ი. კაკაბაძემ, მ. მებუკემ, ი. მელაძემ, ვ. კენურამანიძემ თითომ 10 მანეთი.

რვა-რვა მანეთი—კ. ოვნათანოვმა და შ. ბახტაძემ; ხუთ-ხუთი მანეთი—ა. დ. ბახტაძემ, მესროპიანცმა, დ. ვაშაკიძემ, ი. ი. ქუთათელაძემ, კ. კუპრაძემ, რ. წივწივაძემ, გ. სანოძემ, ს. ჭურაძემ, ხ. ზერაგიამ, ა. შამათოვმა, ვ. კუპაშვილმა მ. კინწურაშვილმა, ს. ჯიშკარიანმა, ს. ბახტაძემ, ა. მელაძემ, ა. მინაძემ, ი. რუხაძემ, ი. ბალანგევაძემ, ე. სანოძემ, კ. რუხაძემ, ა. თვალაძემ, დ. ჩიხლაჩემ, კ. ჩარგეიშვილმა, რ. ჭოგოვაძემ, ვ, ავალიანმა, ი. ქუთათელაძემ, დ. ბ. ცაგარეიშვილმა, ი. ი. გვინერიამ და ე. უგულავამ; სამ-სამი მანეთი—ა. პ. სანოძემ, კ. ა. ბახტაძემ, ს. ა. მამარდაშვილმა, კ. გაბრიჩიძემ, პ. რუხაძემ, ლ. ჭავჭანიძემ, ი. სანოძემ, ს. წვერავამ, თ. მანდარიამ, ვ. მაღარაძემ, ს. მაჭარაძემ, პ. იაკობაშვილმა, ვ. ჭავჭანიძემ, ა. კანჯარაძემ, გ. ძაძამიამ, ი. ე. პერტვენიძემ და ე. გეორგაძემ, ორ-ორი მანეთი—კ. ა. ჩხეტიამ, ი. ი. ვაბჟანსკიმ, გ. ი. კაკაბაძემ, ნ. ა. ბახტაძემ, ა. ნ. ჯოჯუამ, ს. ხოტივარი, გ. ბახტაძემ, მ. გეორგაძემ, ე. კაკაბაძემ, ლ. ჩაგუნავამ, გ. ჭავჭანიძემ, ი. მებუკემ, ა. მენაბდემ, ე. ფარცხალაძემ და გ. ბ. ბუაძემ თითო მანეთი.—მ. კუპარაძემ, ბ. მ. კვინცარიძემ, ტ. ჯიბლაძემ, გ. დანელიამ, პ. ბახტაძემ, ს. კაგიბაძემ, ი. რუხაძემ, ი. ბახტაძემ, ს. ბახტაძემ, ნ. ქაშიბაძემ, ი. პაპავამ, ლ. ძაძიმიამ, ლ. სანოძემ, ს. სიმონიძემ, კ. ბანცალაძემ, ე. ხელიძემ, მ. ჭეიშვილმა, ს. კაკაბაძემ, ი. წივწივაძემ, ე. გაბისონიამ, ი. ძიძიგურმა, გ. სულაბერიძემ, ს. უგულავამ, ე. შურაძემ, ბ. რუხაძემ, კ. რუხაძემ, ი. გორდაძემ, დ. სილაგავამ; კ. წოწონავამ, ა. ლეჟავამ, პ. კუპრეიშვილმა, ე. ბახტაძემ, ა. მანაგაძემ, ვ. ასათიანმა, ა. მაღალაძემ, ი. სანოძემ, მ. ბუაძემ, ი. აბსაძემ, მ. გალდავაძემ და დ. ჩხენკელმა, დ. დალაქიშვილმა --30 მანეთი; ი. ნ. ქუთათელაძემ—15 მ.; ა. ცაგარეიშვილმა, მ. კაკაბაძემ, და დ. ყიფიანმა 10 მანეთი თითომ; ს. ო. ბახტაძემ—5 მ.; სამ-სამი მანეთი—კ. კაცარავამ, ს. ცივცივაძემ, პ. ჩიმაკაძემ და ვ. ავალიანმა; ორ-ორი მანეთი—მ. კაკაბაძემ, ლ. კაკაბაძემ, ზ. რუხაძემ, მ. გ. სანაძემ, პ. ძიძიგურმა, ს. კეთილაძემ, გ. ბახტაძემ და ე. სანოძემ; თითო მანეთი—ზ. კიპრიძემ, პორფირი №, ვ. ჯანელიძემ, მ. მაღალაძემ, ნ. ლაითაძემ, კ. ჩარგეიშვილმა, ი. ჯანელიძემ, გ. ადამიამ, ა. ჩაკვეტაძემ, ს. ფირცხაიამ, ნ. გამგედელმა, ი. რუხაძემ, ივ. ანდრიაძემ და დ. ჩიქოვანმა.

სულ შემომწირველი იყო 220 კაცი. შემოწირულობა—2060 მან.

კომისიის თავჯდომარე ვ. ვიუნიკოვი.

მდივანი კომისიისა ი. ბერძენოვი.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.




ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთი გაზეთის ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ“

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

## მინადორა დუნდუას

ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი,

## გადავიდა

ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში. ბავშების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ.—2 საათ.

## მოწოდება.

### ქუთაისის ქალაქის მოურავისა

მოულოდნელი უბედურება დაგვატყდა თავზე. ღვთის რისხვად მოევლინა ქვეყნიერებას ომი, ისეთივე საზარელი, როგორც ჟამი, მიწის ძვრა და წარღვნა. თავისუფალი, მშვიდობიანი ცხოვრების დენა ერთიანად დაირღვა, აირია.

ჩვენი პატარა ქვეყანა, ისედაც სუსტი და გაჭივრებული, ომიანობის დროშ უკიდურესს მდგომარეობაში ჩააყენა.

ჩვენს გაღატაკებულს ოჯახებს ომიანობამ მოგლიჯა გულიდან ერთად-ერთი მისი მარჩენალი, მისი ჭირისუფალი.

ჯარის კაცებათ ომში გაწვეული ჩვენი ძმები და შვილები სისხლს ანთხევენ მშვიდობიანობის, ჩვენი არსებობის დასაცავად. ასეთი ფასდაუდებელი მსხვერპლი ჩვენგანაც მოითხოვს შესაფერ მსხვერპლს.

საძრახისი, სამარცხვინო იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენი უყურადღებობის მიზეზით დაიმშეს ცოლ-შვილი და დედ-მამა ანაბარად მიტოვებულ ომში გაწვეულ ჯარის კაცებისა.

მოქალაქენო! თქვენთვის თავდადებული მოძმეთა ოჯახები მოითხოვენ თქვენგან ნივთიერ დახმარებას და თქვენც დაუყონებლივ უნდა აღმოუჩინოთ იგი.

მიეშველენით, რითაც შეგიძლიათ: ფულით, ნივთით, საქონლით, სანოვაგით; შეწირულების სიმცირეს ნუ მოერიდებით, ყველაფერი მადლობით მიიღება, მხოლოდ უპირატესობა ეძლევა ფულის შეწირვას.

საქონელთაგან სასურველია შემოიწიროს: კაცის უხმარი თეთრეული, საბანი, ფუფაიკა, ყაბალახი, ტილო, მიტკალი, ცხვირსახოცი, წუღები, წინდები და სხვ.

სანოვაგეთაგან: ჩაი, შაქარი, კონიაკი, ღვინო, კონსერვი, გალეტი, სუხარი, კრუპა, შოკოლადი, კაკაო, საპონი, თუთუნი, პაპიროსი, გიდროსკოპიული ბამბა, მარლე, ტერმომეტრები და სხვ. ისეთი სანოვაგე, რომელიც მალე ფუჭდება, არ მიიღება.

შეწირულება უნდა გამოეგზავნოს ქუთაისის ქალაქის გამგეობაში განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელიც მოქმედობს ჩემის თავმჯდომარეობით.

შემწირველთა ვინაობა და შეწირულების რაოდენობა დაუყონებლივ გამოცხადდება გაზეთში.

ქუთაისის ქალაქის მოურავი ილ. ჩიქოვანი.

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის **აბანო**,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს  ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით გ. მ. არჯავანიძე.

## მუშაობს

ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ქორქოლაძეების

## სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს**, **საყმაწვილოებს ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა.** წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“.

## ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

## გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვის.